

შპს „მამიზა პეტროლიუმი“ ავტოგასამართი სადგური

სკრინინგის განაცხადი

შემსრულებელი: შპს „სამნი“

დირექტორი თ.კეპულაძე
მობ: 5 91 15 72 72

შპს „მამიზა პეტროლიუმი“-ს

დირექტორი ლერი ბერაძე
მობ.: 5 99 43 32 25



2020 წელი

სარჩევი

1. შესავალი	3
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.....	3
3. ინფრასტრუქტურის ელემენტები	7
4. აგს-ის ფუნქციონირების რეჟიმი.....	12
5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში	12
დანართები.....	20
დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ნაკვეთის კოდი 43.20.42.417).....	21
დანართი 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ნაკვეთის კოდი 43.20.42.076).	23
დანართი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 04 მარტის ბრძანება №35 მშენებლობის ვადის გაგრძელების შესახებ.	25
დანართი 4. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 2008 წლის 29 ივლისის №119/108-8 წერილი ელ. მომარაგების შესახებ.....	28
დანართი 5. შპს „ცისფერი ალი“-ს მიერ შემუშავებული ბუნებრივი აირით გასამართი საკომპრესორო სადგურის მუშა პროექტი, რომელიც შეთანხმებულია გამგეობის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან (2007 წლის 21 მაისის №85 ბრძანება) და გაზის ტექნიკური დამხედველობის ინსპექციის მიერ (№ 38.21.02.2007).	30
დანართი 6. იჯარის ხელშეკრულება.....	31
დანართი 7. იჯარის ხელშეკრულება.....	35
დანართი 8. იჯარის ხელშეკრულება.....	39

1. შესავალი

შპს „მამიზა პეტროლიუმი“-ს (ს/კ 430038345) იჯარით აღებული ავტოგასამართი (ბუნებრივი აირი, ბენზინი, დიზელი, თხევადი აირი) სადგური მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ცაიში. ობიექტის მშენებლობა დაიგეგმა 2005 წელს, შედგენილი იყო პროექტი, გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა, (დანართები N3, N4). პროექტით გათვალისწინებული იყო ბუნებრივი აირით გასამართი სადგურის მშენებლობა. კომპანიამ 2019 წელს გადაწყვიტა არსებული ობიექტის რეკონსტრუქცია, დიზელის ბენზინისა და თხევადი გაზით გასამართი სვეტების მოწყობა-ექსპლუატაცია.

რადგან ზემოაღნიშნული ობიექტების მოწყობა ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 3.5; 6.3 პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას და იგივე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ.

ოპერატორი კომპანია	შპს „მამიზა პეტროლიუმი“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ზესტაფონი,ჩიკაშუას 7
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი,სოფ.ცაიში
საქმიანობის სახე	ავტოგასამართი სადგური
დირექტორი	ლერი ბერაძე
საკონტაქტო ტელეფონი	599433225
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეპულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	591 157272

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

შპს „მამიზა პეტროლიუმი“-ს იჯარით აღებული ავტოგასამართი სადგური მდებარეობს შპს მეგობრობას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა საკადასტრო კოდებია 43.20.42.417 და 43.20.42.076 ნაკვეთზე (დანართები 1 და 2).


სიტუაციური გეგმა მოცემულია N1 ნახაზზე .

ტერიტორიის კუთხეთა წვეროები მოცემულია №2 ნახაზზე, ხოლო GPS კოორდინატები - №2 ცხრილში.

ობიექტს დასავლეთიდან ესაზღვრება ცაიში-ზუგდიდის საავტომობილო გზა (სურათი1), ჩრდილოეთიდან - შიდა სასოფლო გზა (სურათი 2), სამხრეთიდან - თავისუფალი ტერიტორია

(სურათი 3) და აღმოსავლეთიდან კერძო საკუთრებაში არსებული საწარმოო დანიშნულების უფუნქციო შენობა (სურათი 4).
უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საზღვრიდან დაშორებულია 70 მ-ით.

ნახაზი 1. სიტუაციური გეგმა.



ნახაზი 2. ტერიტორიის წვეროების ნუმერაცია



ცხრილი 2. კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები.

წვეროს ნომერი	X	Y
1	731098	4702420
2	731129	4702403
3	731131	4702409
4	731160	4702402
5	731142	4702370
6	731125	4702379
7	731106	4702355
8	731072	4702375
9	731081	4702390
10	731105	4702390

სურათი 1. ცაიში-ზუგდიდის საავტომობილო გზა.



სურათი 2. შიდა სასოფლო გზა.



სურათი 3. თავისუფალი ტერიტორია.



სურათი 4. კერძო საკუთრებაში არსებული საწარმოო დანიშნულების უფუნქციო შენობა.



3. ინფრასტრუქტურის ელემენტები

შპს „მამიზა პეტროლიუმი“-ს (ს/კ 430038345) იჯარით აღებული ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ცაიშში.

ობიექტის მშენებლობა განხორციელდა 2005-2008 წლებში შპს „ზენიტი“-ს (ს/კ 220381655) მიერ, რაც დასტურდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 4 მარტის №35 ბრძანებით (დანართი 3) და შპს „ცისფერი ალი“-ს მიერ შემუშავებული ბუნებრივი აირით გასამართი საკომპრესორო სადგურის მუშა პროექტით, რომელიც შეთანხმებულია გამგეობის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან (2007 წლის 21 მაისის №85 ბრძანება) და დამტკიცებულია გაზის ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციის მიერ (№ 38.21.02.2007) (დანართი 5).

2009 წლის 25 თებერვლიდან შპს „ზენიტი“-ს სამართალმემკვიდრე გახდა შპს „ჯეოგაზი“ იგივე საიდენტიფიკაციო კოდით (ს/კ 220381655) .

2019 წლის 22 აპრილის და 2019 წლის 15 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ობიექტის მფლობელი გახდა შპს „მეგობრობა“ (ს/კ 430038559). ამ უკანასკნელიდან ობიექტი იჯარით აიღო შპს „მამიზა პეტროლიუმმა“ (ს/კ 430038345) (2019 წლის ივლისის და 2020 წლის თებერვლის ხელშეკრულებები (დანართები 6; 7 და 8)).

ამჟამად ტერიტორიაზე განთავსებული ინფრასტრუქტურის ელემენტების ჩამონათვალი, მოწყობის თარიღების მითითებით მოცემულია №3 ცხრილში.

ავტოგასამართი სადგურის საბოლოო გენ-გეგმა მოცემულია №3 ნახაზზე.

ცხრილი 3. ინფრასტრუქტურის ელემენტების ჩამონათვალი.

ინფრასტრუქტურის ელემენტები	მონტაჟის დრო	შენიშვნა
ადმინისტრაციულ-ტექნოლოგიური შენობა	2005-2008 წლები	სურათი5
საკომპრესორო	2005-2008 წლები	სურათი6
შეკუმშული გაზის ბალონი საერთო ტევადობით 280 მ ³ .	2005-2008 წლები	სურათი6
ოთხი გაზგასამართი სვეტი	2005-2008 წლები	სურათი7
დიზელის ავზები 2 ×15 მ ³	2019წელი	სურათი 8
ბენზინის ავზები 2 ×15 მ ³	2019წელი	სურათი 8
ბენზინითა და დიზელით გასამართი სვეტები	2019წელი	სურათი10
თხევადი აირის საცავი 5,5 მ ³	2019წელი	სურათი 11

სურათი 5.ადმინისტრაციული შენობა.



ნახაზი 6. საკომპრესო და ბუნებრივი აირის სამარაგო რეზერვუარები.



სურათი 7. გაზგასამართი სვეტები.




სურათი8. ბენზინისა და დიზელის სამარაგო რეზერვუარები



სურათი9.თხევადი აირის საცავი.



ნახაზი 3. ავტოგასამართი სადგურის საბოლოო გენ-გეგმა.



ექსპლიკაცია

1. საკომპიუტერო;
2. გადახურული სივრცე;
3. ბუნებრივი აირით გასამართი სვეტი;
4. დიზელით გასამართი სვეტი;
5. ბენზინით გასამართი სვეტი;
6. ბენზინისა და დიზელის ავზები;
7. საკომპიუტერო;
8. ბუნებრივი აირის სამარაგო რეზერვუარი;
9. დამხმარე შენობა;
10. კომერციული ფართი;
11. თხევადი აირის მოცულობა;
12. ბუნებრივი აირის საშრობი მოცულობა.

ავტოგასამართი სადგური შედგება ბუნებრივი აირით, თხევადი აირით, დიზელითა და ბენზინით გასამართი უბნებისაგან. მათი სამარაგო რეზერვუარების ტევადობები და ბიზნესგეგმით გათვალისწინებული რეალიზაციის მოცულობები მოცემულია №4 ცხრილში.

ცხრილი 4. სამარაგო რეზერვუარების ტევადობები და ბიზნესგეგმით გათვალისწინებული რეალიზაციის მოცულობები.

№	რეზერვუარის დასახელება	რეზერვუარის ტევადობა,მ ³	სავარაუდო რეალიზაცია.
1	ბუნებრივი აირის სამარაგო რეზერვუარი	280	200000 მ ³ /წელ
2	დიზელის რეზერვუარი	15	200000 ლ/წელ
3	დიზელის რეზერვუარი	15	
4	ბენზინის რეზერვუარი	15	250000 ლ/წელ
5	ბენზინის რეზერვუარი	15	
6	თხევადი აირის რეზერვუარი	5,5	50ტ

4. აგს-ის ფუნქციონირების რეჟიმი

აგს იფუნქციონირებს ყოველდღიურად, 360 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით. მომუშავეთა რაოდენობა-11 კაცი. რომელთაგან 2 წარმოადგენს ობიექტის ადმინისტრაციას, ხოლო 9 თანამშრომელი განაწილებული იქნება ცვლებში, ყოველდღიურად 3 კაციანი შემადგენლობით (3 ბრიგადად).

5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

ობიექტის ექსპლუატაციით გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ხმაურის გავრცელებით; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკით; ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვ.

❖ ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

ობიექტის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელია მავნე აირების გამოყოფა ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემის, ბუნებრივი და თხევადი აირებით ავტომანქანების გამართვისას.

➤ გაფრქვევების ანგარიში ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემისას

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას დიზელისა და ბენზინის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს:

ა) 1,4 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ ბენზინის საწვავაზე;

ბ) 0,0025 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ობიექტის ბიზნეს გეგმის შესაბამისად ნავარაუდებია წლიურად 250 000 ლ ბენზინის და 200 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

ბენზინისათვის:

$$G = 250\,000 \times 1.4/10^6 = 0.35 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.35 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0.0113 \text{ გ/წმ}$$

დიზელისათვის:

$$G = 200\,000 \times 0.0025/10^6 = 0.0005 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.0005 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0.00002 \text{ გ/წმ}$$

სულ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების წამური და წლიური რაოდენობები იქნება:

$$M=0,0113\text{გ/წმ}$$

$$G=0,3505\text{ტ/წელ.}$$

➤ გაფრქვევების ანგარიში თხევადი აირით გამართვისას.

თხევადი გაზით შემავსებელი პუნქტიდან ტექნოლოგიური დანაკარგები (ნახშირწყალბადების-პროპან ბუთანის) ნორმები ერთეულ რეალიზებულ თხევად გაზზე შეადგენს 0,84%-ს თხევადი გაზის ბალონებში რეალიზაციისას და 1,34%-ს თხევადი გაზით ავტომანქანების გამართვისას.

1ტ თხევად გაზს უმატებენ 80 გ ეთილმერკაპტანს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით გვექნება:

ა) თხევადი გაზის ბალონებში რეალიზაციისას დანაკარგები.

$$G_{გ-კ} = Q \times p/100 = 5 \times 0.84/100 = 0.042 \text{ ტ/წელ}$$

სადაც:

Q=5 არის წელიწადში თხევადი გაზის ბალონებში რეალიზებული აირის ოდენობა, ტ;

P=0,84 -ტექნოლოგიური დანაკარგები თხევადი გაზის ბალონებში რეალიზებისას, %.

წამური გაფრქვევა იქნება:

$$M = 0.042 \times 10^6 / 360 \times 12 \times 3\,600 = 0.0027 \text{ გ/წმ}$$

ბ) თხევადი გაზით ავტომანქანების გამართვისას დანაკარგები.

$$G_{გ-გ} = 45 \times 1.34 / 100 = 0.603 \text{ ტ/წელ}$$

სადაც:

Q=45 არის წელიწადში ავტომანქანების გამართვისას რეალიზებული აირის ოდენობა, ტ;

P=1,34 - ტექნოლოგიური დანაკარგები თხევადი აირით ავტომანქანების გამართვისას

წამური გაფრქვევა იქნება:

$$M = 0.603 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0.0019 \text{ გ/წმ}$$

სულ, გაფრქვეული მავნეობების რაოდენობა იქნება:

$$G = 0.042 + 0.603 = 0.645 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0.0027 + 0.0019 = 0.0046 \text{ გ/წმ}$$

გ) ეთილმერკაპტანის წლიური გაფრქვევა იქნება:

$$G_{გომ} = 50 \times 80 / 10^6 = 0.004 \text{ ტ/წელ}$$

ხოლო წამური გაფრქვევა იქნება:

$$M_{გომ} = 0,004 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3\,600 = 0,00013 \text{ გ/წმ}$$

➤ **გაფრქვევა ბუნებრივი აირით გამართვისას**

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას ატმოსფეროს ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებაა მეთანი, რომელიც წარმოადგენს აქ გამოყენებული ბუნებრივი საწვავი აირის შემადგენლობის 90 %-ზე მეტს.

ავტოგაზგასამართი საკომპრესორო სადგურის გაწყობა-გამართვისას ხდება სვეტის “პისტოლეტი”-ს განქრევა; იგი მეთანის გაფრქვევის არაორგანიზებული წყაროა.

წლიურად სამუშაო დღეების რაოდენობა მიღებულია 360-ის ტოლად. განქრევისას გამოთავისუფლებული (განსაქრევი აირით მის განქრევამდე დაკავებული) მოცულობის სიდიდე იქნება:

$$V = V_{\text{მლ}} + V_{\text{მოლ}} = 0.85 \times 10^{-4} + 1.18 \times 10^{-4} = 2.03 \times 10^{-4} \text{ მ}^3$$

ადაც $V_{\text{მლ}}$ და $V_{\text{მოლ}}$ სათანადოდ აღნიშნავს შლანგსა და სამსვლიან ონკანს შორის შემაერთებული მილის მოცულობებს.

$$V_{\text{მლ}} = 0,785 \times d_{\text{მლ}}^2 \times L_{\text{მლ}} = 0.785 \times 0.006^2 \times 3 = 0.85 \times 10^{-4} \text{ მ}^3$$

$$V_{\text{მოლ}} = 0,785 \times d_{\text{მოლ}}^2 \times L_{\text{მოლ}} = 0.785 \times 0.01^2 \times 1.5 = 1.18 \times 10^{-4} \text{ მ}^3$$

$$\sum (V_{\text{მლ}} + V_{\text{მოლ}}) = 2.03 \times 10^{-4} \text{ მ}^3$$

ერთი განქრევისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მეთანის რაოდენობა იქნება:

$$V_0 = V \frac{P_1}{P_0} = 2.03 \times 10^{-4} \times \frac{200}{1} = 0.0406 \text{ მ}^3$$

სადაც V , P_1 და P_0 სათანადოდ აღნიშნავს ზემოთ ნაანგარიშებ განქრევის მოცულობას, დაჭირხნული საწვავი აირის სამუშაო წნევას და ატმოსფერული ჰაერის წნევას.

ერთჯერადი განქრევის ხანგრძლიობა 1 წამის ტოლდაა მიღებული, ამიტომ განქრევის ხანგრძლიობა წლიურად ერთი სვეტისათვის იქნება:

$$50 \text{ მანქ/დღ} \times 1 \text{ წმ} \times 360 \text{ დღ/წელ} = 18\,000 \text{ წმ/წელ} \approx 5 \text{ სთ/წელ}.$$

პროექტის მიხედვით დღე-ღამეში ერთი სვეტიდან ხდება საშუალოდ 50 ავტომანქანის საწვავი აირით გაწყობა-გამართვა, თითო ავტომობილის გამართვის ხანგრძლივობა დაახლოებით შეადგენს 5 წუთს.

ერთჯერადი განქრევის მასა მიიღება ერთჯერადი განქრევის $-V_0 = 0,0406 \text{ მ}^3$ -ის გამრავლებით მის სიმკვრივეზე ($0,73 \text{ კგ/მ}^3$), რასაც შეესაბამება:

$$M = 0.0406 \times 0.73 = 0.03 \text{ კგ/წმ} = 30,0 \text{ გ/წმ}$$

მეთანის წლიური გაფრქვევა ერთი სვეტიდან იქნება:

$$G = 30.0 \text{ გ/წმ} \times 3\,600 \text{ წმ} \times 5 \text{ სთ} \times 10^{-6} = 0,54 \text{ ტ/წელ}$$

ერთი განქრევისას ატმოსფერულ ჰაერში ოდორანტის წამური გაფრქვევა ($1\,000 \text{ მ}^3$ ბუნებრივ აირს უმატებენ 16 გ ოდორანტს-მეთილმერკაპტანს) ტოლი იქნება:

$$M = 0.0406 \times 16/10^3 = 0.00065 \text{ გ/წმ}$$

წლიური გაფრქვევა ერთი სვეტიდან იქნება:

$$G = 0,00065 \text{ გ/წმ} \times 3\,600 \text{ წმ} \times 10 \text{ სთ} \times 10^{-6} = 0,00023 \text{ ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება მეორე წყაროსათვისაც.

სულ სამივე მოდულიდან გაფრქვეული მავნეობების რაოდენობები მოცემულია №5 ცხრლში.

ცხრილი 5. სამივე მოდულიდან გაფრქვეული მავნეობების რაოდენობები.

აგს-ის მოდული	ნითიერებები	გამოყოფის ინტენსიობა და რაოდენობა
დიზელის საწვავისა და ბენზინის მოდული	ნახშირწყალბადები	M=0,0113 გ/წმ
		G=0,305 ტ/წ
თხევადი გაზის მოდული	ნახშირწყალბადები	M=0,0046 გ/წმ
		G=0,645 ტ/წ
	ოდორანტი	M=0,00013 გ/წმ
		G=0,004 ტ/წ
ბუნებრივი აირის მოდული	მეთანი	M=30 გ/წმ
		G=1,08 ტ/წ
	ოდორანტი	M=0,00065 გ/წმ
		G=0,000023 ტ/წ

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობა მცირეა. ამასთანავე ქვეყნის მშტაბით არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ ანალოგიური ობიექტების ფუნქციონირებისას არ ხდება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა.

❖ ხმაურის ზემოქმედება.

ავტოგასამართ სადგურზე არ არის გათვალისწინებული ხმაურწარმოქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსება და გამოყენება. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტით, საწვავის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს. თუმცა ავტოგასამართი განთავსებულია ცენტრალური ქუჩების მიმდებარედ და ობიექტზე ავტომობილის გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ხმაურის ფონურ მდგომარეობაზე, მითუმეტეს, ტერიტორიაზე შეზღუდული იქნება გადაადგილების სიჩქარე 10 კმ/სთ-მდე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

❖ ზემოქმედება ლანდშაფტზე.

როგორც აღნიშნული იყო აგს განთავსებულია სამანქანო გზების გადაკვეთაზე და მოწყობილი იყო 12 წლის წინ, მისი რეკონსტრუქციით არ მომხდარა ახალი ტერიტორიის ათვისება. ამასთან ობიექტის ახალი დიზაინი პასუხობს საგზაო ინფრასტრუქტურის ელემენტებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და დადებით გავლენას ახდენს არსებულ ლანდშაფტზე.

❖ ზემოქმედება წყლის რესურსებზე

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, მისი გამოყენება მოხდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

წყალაღება გათვალისწინებულია ქალაქის წყალმომარაგების ქსელიდან.

საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებულია საასენიზაციო ორმოზე.

ავტოგასამართის ტექნოლოგიური მოედანი, სადაც გათვალისწინებულია ავტომობილების გამართვა გადახურულია, ამიტომ საწარმოო მოედანზე არ მოხდება ატმოსფერული ნალექების წყალი. საწარმოო მოედნის გარშემო მოწყობილია შემკრები არხი, რომელიც უზრუნველყოფს ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს მოედანზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრებას და ნავთობდამჭერზე მიწოდებას (სურათი 12).

ავტოგასამართი სადგურის მთლიანი ტერიტორია დაფარულია მყარი (ბეტონის) საფარით, რაც გამორიცხავს ობიექტის ფუნქციონირების დროს მიწიქვეშა წყლების დაბინძურების რისკს.

ამდენად, ობიექტის ექსპლუატაციის დროს წყლის ობიექტის დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

❖ **ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები**

შპს „მამიზა პეტროლიუმი“ ნარჩენების მართვას განახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

აგს-ზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვდება ცალ-ცალკე. აგს-ზე სულ დასაქმდება 11 ადამიანი (მათ შორის ორ-ორი ცვლაში, ყოველ მესამე დღეს), შესაბამისად წლის განმავლობაში მუნიციპალური ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა იქნება $4 \times 0,73 = 2,92$ მ³. რომელიც გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები, ნავთობდამჭერის ლექი) დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში, მარკირებულ ჰერმეტიკულ კონტეინერებში. ნარჩენების აღდგენის ან განთავსების მიზნით, ისინი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

❖ **ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**

საკვლევ ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, დათვალიერებით ტერიტორიის სიახლოვეს წითელ წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები, ან კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლარები ვერ იქნა გამოვლენილი, რაც გამორიცხავს სამუშაოების პროცესში და შემდგომ ეტაპზე, მცენარეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას.

საწარმოს გავლენის ზონაში დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სურათი 12. შემკრები არხი.



❖ **სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება**

საწარმო ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (8 ადამიანი), ობიექტზე დასაქმებულთა უმეტესობა (80%) იქნება ადგილობრივი მცხოვრები, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დაგეგმილი საქმიანობა (ავტო გასამართი, მარკეტი, ლიბერთი ბანკის ბანკომატი, სველი წერტილები) დადებითად აისახება ასევე გზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

შპს ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც ასევე დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

❖ **კუმულაციური ზემოქმედება.**

განსახილველი ობიექტის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ობიექტი არ არის. უახლოესი აგს დაშორებულია 1000 მ-ზე მეტი მანძილით. ამისა და საპროექტო ობიექტების პარამეტრების გათვალისწინებით ადგილი არ ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.

❖ ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და სამშენებლო დანადგარების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები, თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სათანადო უსაფრთხოების ნიშნები. ავტომატების გადაადგილების სიჩქარე შეზღუდული იქნება 10 კმ/სთ-მდე. ავტოგასამართი აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

დაწარმები

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ნაკვეთის კოდი 43.20.42.417).



მინის (უმრავლესი) საკატეგორიო კოდი **N 43.20.42.417**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 902019945197 - 24/12/2019 17:02:28

მომზადების თარიღი
30/12/2019 12:10:45

საკუთრების განყოფილება

მონა შეგლილი	სექტორი ცაიში	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის ღანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო ღამუსტებული ფართობი: 1842.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 43.20.42.077; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 ფართით 206.24 კვ.მ., N2 ფართით 74.43 კვ.მ. N3 ფართით 94.56 კვ.მ.
43	20	42	417	

მისამართი: რაიონი შეგლილი, სოფელი ცაიში

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019297659 , თარიღი 19/04/2019 16:43:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/04/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უმრავლესი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 19/04/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

შესაკუთრები:
შპს "მეგობრობა", ID ნომერი: 430038559

შესაკუთრე:
შპს "მეგობრობა"

აღწერა:

სატაღასახლო გირაფნობა:

რეგისტრირებული არ არის

იპოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019639870 თარიღი 06/08/2019 17:14:29
იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
საგანი:ლამუსტებული ფართობი: 1842.00 კვ.მ, შენობა-ნაგებობა:NI, N2, N3 ;
იპოთეკის ხელშეკრულება NCAH000370733, ღამოწმების თარიღი06/08/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 12/08/2019

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019549401 თარიღი 09/07/2019 11:44:00
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/07/2019
ზოივარე: შპს "მამია პეტროლიუმი"430038345;
საგანი:მიწის ნაკვეთი ღამუსტებული ფართობი: 1842.00 კვ.მ. და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა: NI, N2, N3 ;
ვადა:5 წელი;
ივარის ხელშეკრულება NI/2, ღამოწმების თარიღი09/07/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

ზოვალუთა რეგისტრირებული არ არის

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სარეზერვო მიზნების საშემოსავლო გადასახადი გადასხდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო ოფისის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაწილობრივ გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სასსს-ში და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გვერდითი სარეგისტრაციის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სასსს-ის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ნაკვეთის კოდი 43.20.42.076).



შიქსი (უძრავი ქონების) საკატასტრო კოდი **N 43.20.42.076**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019651203 - 09/08/2019 15:52:44

მომზადების თარიღი
15/08/2019 13:44:59

საკუთრების განყოფილება

ზონა შეღობილი	სექტორი ცაიში	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო ღამუსტგებული ფართობი: 1125.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 43.20.42.072; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი:01/1
43	20	42	076	

მისამართი: რაიონი შეღობილი, სოფელი ცაიში

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019651203 , თარიღი 09/08/2019 15:52:44
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/08/2019

უფლების დამატარებელი ლოკუმენტი:

- * უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:09/08/2019 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:
შპს "შეგობრობა" , ID ნომერი:430038559

მესაკუთრე:
შპს "შეგობრობა"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახლო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ტონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადასახადი ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XXVIII თავის მხსენებით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო საშასურში, იუსტიციის სახლესა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებსაც;
- ამონაწერში გეოგრაფიული საზღვრების აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგსეთ ელფოსტაზე ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მსროდს უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2008 წლის 04 მარტის ბრძანება №35 მშენებლობის ვადის გაგრძელების შესახებ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქალაქმშენებლობისა და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

STATE INSPECTORATE SERVICE OF TOWN CONSTRUCTION & BUILDING AFFAIRS OF ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNANCE

№-----

-----2008

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №35

2008 წლის 4 მარტი

მშენებლობის ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების“ შესახებ მუხლი 18 პუნქტი 3-ის თანახმად


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1 გაუგრძელდეს ს.პ.ს ზენიგის ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაიში ბუნებრივი გაზით ავტოგასამართი საკომპრესორო სადგურის მშენებლობის ნებართვა 2008 წლის 1 სექტემბრანდე

2 მშენებლობა წარმოებულ იქნეს სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

3 მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნეს ექსპლუატაციაში.


4 კონკრული მშენებლობაზე დაევალოს არქიტექტურის ზედამხედველობის სამსახურს

სამსახურის უფროსი  დ. ესეუა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
საგანმანათლებლო პროცესის განვითარების განყოფილება
მშენებლობის ხანგრძლივების შენაერთი კალენდარული გეგმა


თბილისის და სამუშაოს დახსენება	სამშ.სამონტაჟო სამუშაო ათასი ლარი	შპერ. ხანგრძ. თვეებში	თანხების განაწილება მშენებლობის პერიოდების თვეების მიხედვით						
			მშენებლობის პერიოდები თვეები						
			მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლი	აგვისტო	
1. მისამხედველი სამუშაოები	13.846	0.2	13.846						
2. ელექტრო-სამუშაოების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	214.305	3.5	20.000	40.000	50.000	60.000	44.305		
3. წყალსადენ-ქანაღობის ელვა	10.779	0.2	10.779						
4. ელექტრო-მომრეგება	48.316	0.4			28.316	20.000			
5. განსისამართებ	125.635	0.9	25.000	25.000	25.000	35.000	15.635		
6. ტერიტორიის კეთილშინებობა	95.234	0.8				20.000	75.234		
სულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება ათას ლარებში და მათი განაწილება თვეების მიხედვით	508.115	6	33.846	75.779	103.316	105.000	99.305	90.869	
თანხების პროცენტული განაწილება თვეების მიხედვით	100%		6.7%	14.9%	20.3%	20.7%	19.5%	17.9%	

მომუშავეთა რაოდენობის ცვალებადობის გრაფიკი



მშენებლობის ხანგრძლივობა T=150 სამუშაო დღე

თანხების განაწილების დიაგრამა პროცენტებში სამუშაოთა შესრულების პერიოდის მიხედვით თვეებში




შპს "საინტელ" დირექტორი: ასაკელა შვილი

იუნივერსიტეტი განხორციელებს ავტორგასამართი საკომისიის სახელით
 "სუბსტიტუციური რაიონის სოფ. ცაიშში
 მშენებლობის განხორციელების შენაკრები კალენდარული გეგმა


№	ობიექტის და სამუშაოს დასახელება	სამშ.კამონტაჟო სამუშაოათასი ღარი	მშენ. ხანგრძ. თვეებში	თანხების განაწილება მშენებლობის პერიოდების თვეების მიხედვით					
				მშენებლობის პერიოდები თვეები					
				მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	
1	მოსამზადებელი სამუშაოები	13.846	0.2	13.846					
2	ავტორგასამართი სადგურის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები	214.305	3.5	20.000	40000	50000	60.000	44.305	
3	წვალსადენ-კანალიზაცია	10.779	0.2	10.779					
4	ელექტრო მომარაგება	48.316	0.4			28.316	20.000		
5	გაზომომარაგება	125.635	0.9		25000	25000	25000	35000	15.635
6	ტერიტორიის კეთილმოწყობა	95.234	0.8				20000	75.234	
სულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება ათას ლარებში და მათი განაწილება თვეების მიხედვით		508.115	6	33.846	75.779	103316	105000	99305	90569
თანხების პროცენტული განაწილება თვეების მიხედვით		100%		6.7%	14.9%	20.3%	20.7%	19.5%	17.9%

მომუშავეთა რაოდენობის ცვალებადობის გრაფიკი



მშენებლობის ხანგრძლივობა T=150 სამუშაო დღე

თანხების განაწილების დიაგრამა პროცენტებში სამუშაოთა შესრულების პერიოდის მიხედვით თვეებში



შპს "ხეივანი" დირექტორი:

ს.გელაშვილი

დანართი 4. ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს 2008 წლის 29 ივლისის №119/108-8 წერილი ელ. მომარაგების შესახებ.



ENERGO-PRO GEORGIA
WEST REGIONAL BRANCH
15 Tsminda Nino street
4100 Senaki, Georgia

ს/ს „ენერგო-პრო ჯორჯია“
დასავლეთის რეგიონალური ფილიალი
წმინდა ნინოს 15
4100 სენაკი, საქართველო

შპს „ზენიტი“-ს დირექტორს
ბატონ სერგო გელაშვილს

ასლი: ზუგდიდის მ/ცენტრის
მთ. ინჟინერს ბ-ნ თ. ზარქუას



ზუგდიდის რაიონი სოფ. ცაიშში შპს „ზენიტი“-ს
გაზოგასამართი სადგურის ელ. მომარაგების შესახებ

ზუგდიდის რაიონი სოფ. ცაიშში შპს „ზენიტი“-ს გაზოგასამართი სადგურის ელ. მომარაგება, მოთხოვნილი სიმძლავრით 290 კვტ, შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ტექნიკური პირობების გათვალისწინებით:

1. ობიექტის ტერიტორიაზე შეირჩეს ადგილი და დამონტაჟდეს 10/04 კვ ძაბვის სატრანსფორმატორო ქვესადგური, ტრანსფორმატორის სიმძლავრით 400 კვა.
